საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დამოუკიდებელი გაზეთი

599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru

რუსთავი

გაზეთი გამოდის 1948 წლიდან

31
მარტი 2024 წ.
№1
(109753)
ფასი 50 თეთრი

რუსთავში ახალი, მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა

ირაკლი კობახიძე:

– რუსთავი არის გამორჩეული ქალაქი გამორჩეული ხალხით. ეს ქალაქი ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებს და დღევანდელი დღე არის ამის გამოხატულება...

ნინო ლაცაბიძე:

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალი სპორტის სასახლე კიდევ უფრო მეტად გააერთიანებს თითოეულ რუსთაველს და რუსთავი გახდება ახალი გამარჯვებების ქალაქად...

გვ.-2

რუსთავის მერია და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო ერთობლივ საპილოტე პროექტს განახორციელებენ

გვ.-3

ნინო ლაცაბიძე, ირაკლი შატაკიშვილი და დავით ნარმანია, GWP-ის პროექტების მიმდინარეობას გაეცნენ

გვ.-3

აზიის განვითარების ბანკი რუსთავში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა

გვ.-3

ირაკლი ქარსელაძე, ინფრასტრუქტურის მინისტრი

გვ.-4

თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობა წელს დაიწყება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრები ღირსების ორდენზე წარადგინეს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრები ღირსების ორდენზე წარადგინეს. შესაბამისი განცხადება პრემიერმა რესპუბლიკის მოედანზე გააკეთა, სადაც გულშემატკივრები და ნაკრების წევრები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

- დღეს უბედნიერესი დღეა. ეს ის ბედნიერებაა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს. ეს ბიჭები გმირები არიან, ისინი წარდგენილები იქნებიან ღირსების ორდენზე, თითოეული მათგანი. ყველას მიმართ დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ისტორიაში პირველად, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. საქართველოს ნაკრებმა ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალურ შეხვედრაში საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს სძლია. ანგარიშის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა და საქართველოს სასარგებლოდ - 4:2 დასრულდა.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველ თამაშს დორტმუნდში, თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ, 18 ივნისს ჩაატარებს.

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

რუსთავში ახალი, მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი გაიხსნა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქალაქ რუსთავში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაასრულა.

კომპლექსის გახსნას დაესწრნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, UFC-ის ჩემპიონი ილია თოფურია.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობაში წვლილი შეიტანა, მათ შორის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძეს, აზიის განვითარების ბანკს, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რეგიონის გუბერნატორს და ქალაქ რუსთავის მერს, დეპუტატებს.

— კიდევ ერთხელ მინდა მოგესალმოთ რუსთაველებს, მოგილოცოთ დღევანდელი დღე. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ დღეს გვაქვს გამორჩეული დღე სხვადასხვა თვალსაზრისით და პირველ რიგში იმით, რომ ვზეიმობთ წარმოუდგენელ წარმატებას, ეს არის სპორტკომპლექსის გახსნა და UFC-ის ქამარი რუსთავში. ილია თოფურია არის რუსთაველების ნიჭიერების განსაკუთრებული მაგალითი, მაგალითი იმისა, თუ რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ქართველ კაცს თავისი ქვეყნისთვის. მადლობა ილია თოფურიას მისი პატრიოტიზმისთვის და იმ დიდი წარმატებისთვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოუტანა, - განაცხადა პრემიერმა.

ორსართულიანი, დახურული ტიპის სპორტული კომპლექსის მთავარი დარბაზი მოემსახურება 8 ოლიმპიურ სპორტულ სახეობას. კერძოდ, დარბაზში შესაძლებელი იქნება ღონისძიებების გამართვა კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მინი ფეხბურთის, კრივის, ჭიდაობის, ძიუდოს, ფარიკაობის სპორტულ სახეობებში.

დარბაზის მოძრავი, ეგრეთ წოდებული ტელესკოპური ტრიბუნები გათვლილია 1500 მაყურებელზე და სივრცის ეფექტური გამოყენების საშუალებას იძლევა. დარბაზი მოწყობილი და აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შეჯიბრებების ჩასატარებლად დარბაზში დამონტაჟებულია ლედ ეკრანები. შენობა აღჭურვილია გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემებით.

სპორტულ კომპლექსში უკვე აღჭურვილია ფიტნეს დარბაზი და გათვალისწინებულია სპორტსმენების ვარჯიშისთვის და ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონის შეჯიბრებებისთვის საჭირო ყველა სივრცე: გასახდელები, საშხაპეები, დასასვენებელი და ინვენტარის შესანახი ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ღია კაფე.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალური განვითარების ფონდის გუნდს შესრულებული სამუშაოსთვის, კონტრაქტორ კომპანიას და ასევე, საერთაშორისო პარტნიორს აზიის განვითარების ბანკს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც აშენდა კომპლექსი.

კომპლექსის მიმდებარედ მოეწყო რეკრეაციული ზონა, საფეხმავლო ბილიკები, 85 ავტომანქანაზე გათვლილი ღია ავტოსადგომი და დამონტაჟდა გარე განათების ლამპიონები.

მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

პროექტი აზიის განვითარების ბანკის 24 მილიონი ლარის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

რუსთავის მერია და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო ერთობლივ საპილოტე პროექტს განახორციელებენ

რუსთავის მერია და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა მშობლების გაძლიერების მიზნით, ერთობლივ საპილოტე პროექტს განახორციელებენ

რუსთავში სარეაბილიტაციო-განმავითარებელ ცენტრ ,,კესანეში", აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა მშობლების მხარდასაჭერად, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ ინიცირებული პროექტი - ,,მწვანე შუქი" განხორციელდება.

პროექტის დეტალებზე, დღეს, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოში გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს.

შეხვედრას, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, მერის მოადგილე ოთარ ტატალაშვილი, ,,კესანეს" დირექტორი ეკა ნოზაძე და ორგანიზაცია ,,ილაპარაკეს" დამფუძნებელი მარიამ დალაქიშვილი ესწრებიდნენ. საპილოტე პროექტი აუტისტური სპექტრის მქონე პირების მშობლების ცნობიერებისა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, ინტერდისციპლინური სერვისის მიწოდებას და ზოგადად, შშმ პირთა ოჯახების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

რუსთავის სარეაბილიტაციო განმავითარებელ ცენტრი ,,კესანე" განსაკუთრებული საჭიროების მქონე **430** ბენეფიციარს ემსახურება, რომელთაგან **125** აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვია.

რუსთავის მერია, სოციალური პროგრამების ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საკურორტო მომსახურებას, სხვადასხვა სახის სამედიცინო პროცედურებს და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთათვის საჭირო თერაპიას აფინანსებს.

აზიის განვითარების ბანკი რუსთავში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა

აზიის განვითარების ბანკი, რუსთავში ურბანული განვითარების და მწვანე ინდუსტრიული პარკების შექმნაზე ორიენტირებულ პროექტებში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა.

რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი და მერის პირველი მოადგილე კახა გურული აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარების უფროსს, მარია პია ანკორას და ჩინეთის განვითარების ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფს შეხვდა.

შეხვედრაზე, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმებზე და რუსთავში ახალი ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

აზიის განვითარების ბანკის მხრიდან რუსთავში ურბანული და ეკოლოგიური პროექტების მხარდაჭერა, ქალაქის ახალი განვითარების კიდევ ერთი შესაძლებლობა იქნება.

საქართველოში ვიზიტად მყოფი მკვლევართა ჯგუფი, ჩინეთსა და მთელს მსოფლიოში, ინდუსტრიულ, სივრცით დაგეგმარებაზე და „მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის" გეგმებზე მუშაობს.

რუსთავში არსებული რესურსების შესწავლის შემდეგ, ჯგუფი იმ პროექტებზე იმუშავებს, რომლის განხორციელებაშიც, აზიის განვითარების ბანკი, სამომავლოდ ინვესტირებას შეძლებს

ნინო ლაცაბიძე: - ,ჩვენი გუნდი ვაგრძელებთ მუშაობას, რომ მაქსიმალურად გამოვავლინოთ რუსთავის პოტენციალი და შევქმნათ ჩვენს ქალაქში ის ახალი შესაძლებლობები, რაც თითოეული რუსთაველისთვის არის მნიშვნელოვანი.

რუსთავში აფხაზეთის ქუჩაზე ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა

რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, პროექტის მიმდინარეობას, მონიტორინგის მიზნით, სამუშაო ფორმატში ადგილზე გაეცნო.

აფხაზეთის ქუჩაზე, მე-7, მე-8 მიკრორაიონებს შორის და ლომოურის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზებზე, სრულიად ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაა პროექტით გათვალისწინებული.

,,რუსთავში, აფხაზეთის ქუჩაზე სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, პროექტი მოიცავს ორ უკვე არსებულ ქუჩაზე გზის რეაბილიტაციას და ერთი ახლის მოწყობას. ჩვენ უკვე არსებული ქუჩების რეაბილიტაციის პარალელურად, სრულიად ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნაზეც ვზრუნავთ. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ, ტრანსპორტისგან განიტვირთება ცენტრალური ქუჩები, ფეხით მოსიარულეთათვის კი გადაადგილება ბევრად უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახდება. პროექტის ღირებულება **4** მილიონ ლარამდეა", – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

საგზაო სამუშაოების პარალელურად, კომპანია GWP-იმ აღნიშნულ ლოკაციაზე **500** მმ დიამეტრის მაგისტრალური წყალსადენი შეცვალა, მოეწყო ახალი წყალარინების ქსელი და ჩამკეტი ურდულები. ბუნებრივი გაზისა და ელექტროკომუნიკაციები მოეწყო მიწისქვეშ. პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის ქუჩაზე ეწყობა სანიაღვრე ქსელი, გაკეთდა **500** მმ დიამეტრის კოლექტორი, დღემდე აფხაზეთის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელი არ არსებობდა. პროექტის თანახმად, გზებზე მოეწყო სანიაღვრე ქსელი, მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, გაკეთდება ველობილიკები, ტროტუარები, გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, მწვანე სივრცეები.

პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, მისი ღირებულება **3 994 439** ლარია.

ნინო ლაცაბიძე, ირაკლი შატაკიშვილი და დავით ნარმანია, GWP-ის პროექტების მიმდინარეობას გაეცნენ

რუსთავის წყალმომარაგების სისტემური გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, კომპანია GWP-იმ სემეკში წარდგენილი გეგმის შესაბამისად, მეგობრობის გამზირისა და გაგარინის ქუჩის წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაცია დაიწყო.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას რუსთავის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, რუსთავის მერი, ნინო ლაცაბიძე, სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანია, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, კომპანია GWP-ის გენერალურ დირექტორ ხოსე მიგელ სანტოსთან ერთად, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას მონიტორინგის მიზნით ადგილზე გაეცნენ.

„რუსთავის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ერთდროულად რამდენიმე ქუჩაზე მიმდინარეობს პროექტები. მოსახლეობას როგორც დავპირდით, ჩვენ მონიტორინგის პროცესში აქტიურად ვართ ჩართული, რომ ნაკლები დისკომფორტი ჰქონდეთ რუსთაველებს, კომპანიამ რაც შეიძლება სწრაფად უზრუნველყოს ჩვენი ქალაქის გამართული წყალმომარაგება და მოაგვაროს წლების განმავლობაში არსებული პრობლემები", - განაცხადა რუსთავის მერმა, ნინო ლაცაბიძემ.

სემეკის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის თანახმად, **2024** წელს კომპანია GWP-ი რუსთავში **18** მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

„მარეგულირებელმა კომისიამ გაზრდილი საინვესტიციო გეგმა დაუმტკიცა GWP-ის იმისთვის, რომ რუსთავში არსებული პრობლემები რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს. დღეს ჩვენ რუსთავის მერიასთან ერთად ვახორციელებთ მონიტორინგს, რათა კომპანიის მიერ დაწყებული პროექტები ადგილზე ვნახოთ, შევაფასოთ სამუშაოების ტემპი და ხარისხი. ამ ეტაპზე GWP--ი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს რუსთავში, იმისთვის რომ, გეგმა-გრაფიკი და ის პროექტები რაც ჩვენს მიერ არის დამტკიცებული, დროულად შესრულდეს", - განაცხადა დავით ნარმანიამ.

ინფორმაციის თანახმად, მეგობრობის გამზირისა და გაგარინის ქუჩის წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციაში კომპანია ჯამში **5,5** მილიონ ლარს დახარჯავს.

„წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის მიზნით, მსგავსი მასშტაბების პროექტები რუსთავის მერიის, სემეკის და GWP-ის ერთობლივი ჩართულობით ხორციელდება. პროცესი შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი ტემპით მიმდინარეობს, მონიტორინგი ძალიან მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ სამუშაოები მაქსიმალურად დათქმულ ვადებში დასრულდეს", - განაცხადა ირაკლი შატაკიშვილმა.

მათივე ცნობით, მეგობრობის გამზირის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება **1700** მეტრამდე სიგრძის წყალსადენის ქსელი, დამონტაჟდება **15** ერთეული ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდული და მოეწყობა **11** საკვანძო ჭა. სამუშაოები დაიწყო გაგარინის ქუჩაზე, სადაც **1800** მეტრამდე სიგრძის წყალსადენის ქსელი განახლდება, დამონტაჟდება **17** ერთეული ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდული და მოეწყობა **15** საკვანძო ჭა. კომპანიამ სამუშაოები ორივე ლოკაციაზე მიმდინარე კვირას დაიწყო, გაგარინის ქუჩაზე მაისში გეგმავს პროექტის დასრულებას, მეგობრობის გამზირზე კი ივნისში.

მეგობრობის გამზირისა და გაგარინის ქუჩის სარეაბილიტაციო პროექტების მიმდინარეობისას, აღნიშნულ ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდება, წყალმომარაგების შეზღუდვა კი მხოლოდ დასკვნით, გადაერთებით ეტაპზე იქნება საჭირო. მასშტაბური სამუშაოების დასრულების შემდეგ, რუსთავში **40 000**-ზე მეტ აბონენტს წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდება.

როდის დასრულდება თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობა?

ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსთაველებისათვის, რადგან ყოველდღიურად ასობით რუსთაველს უწევს დედაქალაქში მგზავრობა. გზა კი გადატვირთულია და ხშირად იქმნება საცობი, რაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ჩვენს თანამოქალაქეებს.

გთავაზობთ „ფაქტ- მეტრის“ მიერ მომზადებულ მასალას, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ რამ გამოიწვია ამ მეტად მნიშვნელოვანი ავტომაგისტრალის მშენებლობის შეფერხება

თბილისი-რუსთავის მაგისტრალის მშენებლობის პროექტს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებდა. პროექტი საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-წითელი ხიდი“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციას ითვალისწინებდა.

მთლიანობაში ავტომაგისტრალის სიგრძე 17.4 კილომეტრია. ტრასის სირთულის გათვალისწინებით, საპროექტო ტრასა და, შესაბამისად, საპროექტო ღონისძიებები, სამ განსხვავებულ მონაკვეთად დაიყო: პირველი მონაკვეთი - საქალაქთაშორისო ავტოსადგურიდან რესტორან „მარაბდამდე“ - სიგრძით 4 კილომეტრია. გზის განივი კვეთი 6-ზოლიანია, თითოეულის სიგანე - 3.5 მეტრი, გზის სამოსი ცემენტო-ბეტონისაა.

მეორე მონაკვეთი - ფონიჭალის მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა - საორიენტაციო სიგრძით 6.8 კილომეტრი. ამ მონაკვეთზე მდ. მტკვრის გასწვრივ ახალი, დაახლოებით 2- კილომეტრი სიგრძის ურბანული ტიპის შემოვლითი გზის მშენებლობა იგეგმებოდა. გზის განივი კვეთი 4-ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე - 3 .75 მეტრი. გზის სამოსი ცემენტო-ბეტონისაა.

მესამე მონაკვეთი-ფონიჭალის დასახლების გასასვლელთან მდებარე „სოკარის“ ავტოგასამართი სადგურიდან რუსთავის ავტობაზრობამდე - სიგრძით 6.6 კილომეტრია. გზის განივი კვეთი 4-ზოლიანია, თითოეულის სიგანე 3.75 მეტრია,. გზის სამოსი ცემენტო-ბეტონისაა.

პროექტის ფარგლებში ავტომაგისტრალზე უნდა აშენებულიყო გზაგამტარები, სატრანსპორტო კვანძები, მიწისქვეშა, სატრანსპორტო და საფეხმავლო ხიდები, ტროტუარები. ზემოთ ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგ, თბილისი-რუსთავის გზას, ამ მიმართულებით არსებული ორმხრივი მოძრაობა სრულად უნდა განეტვირთა და თბილისიდან რუსთავამდე მგზავრობის ხანგრძლივობა თხუთმეტ წუთამდე შეემცირებინა.

ავტობანის გზის პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო და მისი განხორციელება 17 თვის პერიოდში იყო დაგეგმილი, მაგრამ პროექტი 2012 წლის დეკემბერში შეჩერდა. მუნიციპალური ფონდის მაშინდელი ხელმძღვანელობის განმარტებით, პროექტი არაერთი მიზეზის გამო შეჩერდა-ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას („ნიუ ენერჯი“) ფინანსური პრობლემები აღმოაჩნდა. გარდა ამისა, მშენებლობის ნებართვა არ არსებობდა, რის გარეშეც სამშენებლო სამუშაოების დაწყება კანონმდებლობის დარღვევა იყო.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭომ ტენდერი გააუქმა და გარკვეული პერიოდი პროექტის გადახედვას, სამშენებლო ნებართვის აღებას და ახალი ტენდერის გამოცხადებას მოხმარდა.

2013 წლის მაისში მუნიციპალური განვითარების ფონდმა თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელახალი ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში ჩინურმა კომპანია „სინოჰიდრომ“ გაიმარჯვა, რომელსაც გზის პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობა უნდა განეხორციელებინა.

დასახელებული მონაკვეთების მშენებლობა 2014 წლის აპრილში დაიწყო და მისი დასრულება 2015 წლის სექტემბერში იყო დაგეგმილი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად შედგენილი პროექტი (2011-2012 წელს შემუშავდა პროექტი) გზის გარე განათების ქსელისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწყობას არ ითვალისწინებდა. კერძოდ, ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებულ მოსახლეობას შიდა გზების არარსებობა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. მუნიციპალური განვითარების ფონდმა, აზიის განვითარების ბანკთან შეთანხმებით, გადაწყვეტილება მიიღო და პროექტში ცვლილება შეიტანა.

პროექტში ცვლილებების შეტანამ საკონტრაქტო ღირებულება გაზარდა და ჯამში ნაცვლად 88,7 მილიონი ლარისა, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის პროექტის ღირებულებამ 96.7 მილიონი ლარი შეადგინა. პროექტის დასრულება კონტრაქტით 2015 წლის სექტემბერში იყო დაგეგმილი, მაგრამ ვინაიდან პროექტში შევიდა ცვლილება და დამატებითი სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო (გარე განათება და მეორადი გზები), კონტრაქტორ კომპანიას სამუშაოების ვადა გაუგრძელდა და პროექტი 2015 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო. თუმცა მშენებლობა არც ამ ვადებში დასრულდა.

რაც შეეხება თბილისი-რუსთავის გზის მეორე - ფონიჭალის მონაკვეთის მშენებლობას, 2016 წლის დეკემბერში მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თურქულ კომპანია „სეზა ინშაატს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რაც თბილისი-რუსთავის 6.4-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობას ითვალისწინებდა. პროექტის ღირებულება 119 მლნ ლარი იყო. თუმცა, ფონიჭალის მოსახლეობის პროტესტის გამო, აღნიშნული მონაკვეთის ნაწილის მშენებლობა შეჩერდა. ავტობანის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები დაახლოებით 310 ოჯახი საკუთარი სახლებიდან გასახლებას, მათი ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებას ან კომპენსაციას - 1კვ.მ-ზე 1000 დოლარს, ითხოვდა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მაშინდელი განცხადებით, თანხა, რომელსაც მოსახლეობა საკომპენსაციოდ ითხოვდა, არაგონივრული იყო და მისი გადახდა შეუძლებლად მიაჩნდათ. ფონდი მოსახლეობას მხოლოდ გამაგრებით სამუშაოებს სთავაზობდა, რაზეც ადგილობრივები არ თანხმდებოდნენ.

მოლაპარაკების მცდელობის მიუხედავად, ადგილობრივებმა სახელმწიფოს ავტობანის მშენებლობის გაგრძელებაზე თანხმობა არ მისცეს. აქედან გამომდინარე, 3.2 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა შეჩერდა, დასრულებული პირველი და მესამე მონაკვეთი კი დროებით დაუსრულებელ გზის მონაკვეთთან დაერთდა.

ირაკლი ქარსელაძე, ინფრასტრუქტურის მინისტრი

თბილისი-რუსთავის გზაზე დარჩენილი სამ-ნახევარი კილომეტრის მშენებლობას წელს დავიწყებთ

საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი გზის დარჩენილი მონაკვეთის მშენებლობის პროექტი წელს დაიწყება.

როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა, დედაქალაქისა და რუსთავის დამაკავშირებელი გზა 17 კილომეტრს შეადგენს და დარჩენილია სამ კილომეტრნახევარი გზის მონაკვეთი, რომლის მშენებლობაზეც მოსამზადებელი პროცედურები დაიწყება.

„თბილისი რუსთავის დამაკავშირებელი გზა არის 17-კილომეტრიანი. ასაშენებელი არის დარჩენილი სამ-ნახევარი კილომეტრი. ამ მიმართულებით ჩვენ გეგმა გაგვაჩნია, რომლის ფარგლებშიც წელს მოსამზადებელი პროცედურები, სატენდერო პროცედურები, კონტრაქტორის შერჩევა უნდა უზრუნველვყოთ.

ვნახოთ, გეგმიდან გამომდინარე ბევრი გარემოებაა, რაზეც დამოკიდებულია, ბევრი დოკუმენტებია მოსამზადებელი. წელს პროექტის განხორციელებას დავიწყებთ ამ მოქმედებების შედეგად, იმდაგვარად, რომ ეს სამ კილომეტრნახევრიანი მონაკვეთიც იქნება უზრუნველყოფილი“, - განაცხადა მინისტრმა.

საქართველოს უნივერსიტეტმა 100 000 ლარიანი ფონდის გამარჯვებული პირველკურსელები გამოავლინა

ზუსტად სამი წლის წინ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, განსხვავებული და საინტერესო ინიციატივით გამოჩნდა საქართველოს უნივერსიტეტი, რომელიც 2021 წლიდან, მასთან ჩარიცხულ მაღალქულიან პირველკურსელებს სოლიდური თანხით აჯილდოებს.

 აღსანიშნავია, რომ პირველ წელს, საპრიზო თანხა 50 000 ლარს შეადგენდა, ხოლო ახლა 100 000 ლარია.

ელიკაშვილი ნინო, ცინაძე ანა, მჭედლიძე თინათინ, ურუშაძე ნია, ცოცხალაშვილი ანა, წიქარიშვილი დიმიტრი, ჭიალაშვილი თამარი, ორაგველიძე ელენე, ტყემალაძე თამთა - სწორედ ეს სტუდენტები დაჯილდოვდნენ 2023 წელს ჩარიცხული პირველკურსელების საერთო სიიდან.

31 იანვარს, უნივეერსიტეტში გამართულ ღონისძიებაზე, პირველკურსელებს კონკურსში გამარჯვება პირადად რექტორმა - კონსტანტინე თოფურიამ მიულოცა.

ბატონ კონსტანტინეს ვთხოვეთ, კიდევ ერთხელ გაეზიარებინა საგრანტო ფონდის შესახებ დეტალური ინფორმაცია და აგრძელებს თუ არა ამ პროექტს უნივერსიტეტი?

– პირველ რიგში ვიტყვი, რომ დიახ, 2024 წელს ჩვენ კვლავ გვეყოლება გამარჯვებული პირველკურსელები. პროექტი არ სრულდება და განვაგრძობთ, მაღალი ქულებით ჩარიცხული სტუდენტების წახალისებას. ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი კერძო უნვერსიტეტი, რომელიც გრანტით ჩარიცხულ სტუდენტებს ზუსტად იგივე პირობებს სთავაზობს, რასაც სახელმწიდო უნივერსიტეტი, კერძოდ ჩვენთან 100%-იანი გრანტით ჩარიცხული სტუდენტები სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისგან, იმის მიუხედავად თუ რამდენია გადასახადი მის შერჩეულ მიმართულებაზე.

100 000 ლარიან საგრანტო ფონდიდან სწორედ 100% -იანი გრანტის მფლობელებს შორის ხდება კონკურსი და უკვე მესამე წელია თანხები შესაბამისი რეიტინგის მიხედვით გაიცემა გამარჯვებულ პირველკურსელებზე, რა თქმა უნდა თავისუფალი მოხმარებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ.

ცინაძე ანა, თქვენ ერთ - ერთი გამარჯვებული ხართ, საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღეთ საჩუქრად, გაგვიზიარეთ ემოციები, აბიტურიენტობის პერიოდშივე გქონდათ ამ ფონდის შესახებ ინფორმაცია?

– საგრანტო ფონდის შესახებ ინფორმაციას სკოლის პერიოდშივე გავიგე უნივერსიტეტის სოციალური ქსელებიდან. შემდეგ მახსოვს, უნივერსიტეტის ღია კარის დღეს დავესწარი, სადაც ამ გრანტის შესახებ დეტალურად ვთხოვე მოეყოლათ თუ რას გულისხმობდა და რა შემთხვევაში გადაეცემოდა შანსი პირველკურსელს მიეღო ეს შესანიშნავი და უნიკალური შესაძლებლობა.

როცა მიხსნიდნენ, რომ საჭირო იყო მქონოდა მაღალი ქულები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და ამ კუთხით შეირჩეოდნენ პირველკურსელები, მართლა ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე გავხდებოდი ერთ - ერთი გამარჯვებული და ჩემი შრომის საფასურად უნივერსიტეტისგან ფონდიდან თანხას, განსაკუთრებით კი 10 000 ლარს დავიმსახურებდი.

მაგრამ ახლა აქ ვარ ძალიან ბედნიერი და ემოციებით სავსე. მე და ჩემ მეგობარს, ცოცხალაშვილ ანას როდესაც დაგვირეკეს, რომ გამარჯვებულთა სიაში მოვხვდით, ერთმანეთს სწორედ ის ამბავი გავუზიარეთ, თუ როგორ გავიგეთ ამ საგრანტო ფონდის შესახებ და როგორი წარმოუდგენელი გვეგონა გამარჯვება. მადლობა საქართველოს უნივერსიტეტს, ჩემი შრომის დაფასებისთვის.

R

დღეს საქართველოს მწერლის მართალი სიტყვა ესაჭიროება

სწორედ ამ საქმეს ემსახურება თეა ირემაშვილის რომანი „არჩევანი“

გაზეთი „ასავალ დასავალის“ ბოლო კვირის ნომერში, სხვა აქტუალურ თემებთან ერთად დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა აკადემიის ხელმძღვანელის, ცნობილი ქართველი მწერლისა და კრიტიკოსის, პუბლიცისტის, ლიტერატურისმცოდნისა და მეცნიერის ბატონ კობა არაბულის წერილი-მიმართვა სათურით „უმორალო ვაკუუმში ქართველი ერი ვერ გადარჩება“.

საწყისი სტრიქონიდან ბოლო წერტილამდე მთლად ქართველთათვის აუცილებლად წასაკითხი ეს საშვილიშვილო ნააზრევი მიზნად ისახავს, ქვეყნის მთავრობას აუცილებლად გააგებინოს, როგორ სჭირდება დღეს საქართველოს ღირსეული მწერლის მართალი სიტყვა და სიტყვის მსახურთა მოსმენა, მათი ნააზრევის გარჩევა-გაზიარება, ზოგადად, ჭკვიან კაცთათვის ყურისგდება და მათი გულწრფელი რჩევების გათვალისწინება ყოველდღიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რათა ურთულეს ძნელბედობას ქვეყანამ დაუმარცხებლად დააღწიოს თავი და ორად გაყოფილი ქართველობა გადარჩეს. ისტორიულად და ტრადიციულადო, წერს ბატონი კობა ერის ინტელექტუალური, გონებრივი და კულტურული დაცვის პირამიდის აგება სიტყვის მსახურთა გარეშე ყველაზე ბრძენ მთავრობასაც გაუჭირდება.

დიახ, სიტყვის ძალის და მითუმეტეს მშვიდობიანი მწერლური სიტყვის გარეშე არც ყოფილა და არც არასოდეს იქნება მშვიდობა, თავისუფლება და გამარჯვება, რადგან არსთა გამრიგემ თავად ჩადო სიტყვაში ღვთის ძალა, ნება და წიგნთა წიგნის დასაწყისშივე აღიარა „პირველად იყო სიტყვა და ეს სიტყვა იყო ღმერთი“. სწორედ ღმერთმა მისცა სამყაროში მილიარდობით არსებულ ცოცხალ ორგანიზმთა შორის სულიერ ადამიანს მეტყველების უნარი, რათა მან, ღვთის ნებით თავისი გონიერების და სულიერი ქმნადობის დასტურად, ნებისმიერ დროს იარაღად ენა გამოიყენოს და მისით გადაირჩინოს თავი, ენით გადაარჩინოს კაცობრიობა. მწერალმა და მწერლობამ ხომ უდაოდ და თავისთავად.

ამ კონტექსტში და დღევანდელ ყოფაში უდიდეს სიამოვნებას მგვრის ის ფაქტი, რომ სამშობლოს ტკივილებით გულდამძიმებული თუ აფორიაქებული ახალგაზრდა მწერალთა თაობა თავისი ნიჭიერი ლიტერატურული ნააზრევით და შესაბამისად, გამოცემული წიგნებით აშკარად გვერდში უდგას მამა-პაპათა იმ თაობას, რომელთაც პირად ტკივილებზე მეტად სტკივათ სამშობლოს ბედი.

მოწყენილი და დარდიანი საქართველოს ხილვა და მის პრობლემებზე წერა ძალიან საინტერესო და ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის, ჩვენი ქალაქის სასამართლოს მოსამართლის მწერალ-თანაშემწის **თეა ირემაშვილისათვის** თვითმიზანი კი არა, მიზანი და რეალური გზაა, რათა დღევანდელობის ბოლომდე პირუთვნელი დახატვით, ახალგაზრდების ტკივილების შეცნობით უკეთ შეაგრძნობინოს ქართველ მკითხველს, „რომ ცხოვრებაში ადამიანის თვითმყოფადობა არჩევანის თავისუფლებით იწყება, თუმცა გადაწყვეტილების მიღება ხშირად ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული“, რასაც არცთუ იშვიათად გაუთვალისწინებელ კონკრეტულ შედეგებამდე მივყავართ და, რაც ხშირად სინანულის მიზეზად ექცევა კონკრეტულ ადამიანს, ოჯახს თუ მთლიანად ქვეყანას.

რომან „არჩევანის“ სიუჟეტი ძალიან მოკლედ ასეთია: წიგნის მთავარი გმირი, თამარი, ავტორის პროტოტიპი, ძლიერი და მიზანდასახული ადამიანია, გერმანიაში ემიგრაციაში მყოფს ,გერმანელი ვაჟი შეუყვარდება. მისი შემდგომი თავგადასავალი ბევრი ჩვენი თანამემამულის მსგავსიცაა და განსხვავებულიც, რაც ეპიზოდურად ძალიან საინტერესოდ ვითარდება რომანში სხვადასხვა პერსონაჟთა ურთიერთობებისას და ძალზე დამაჯერებელი თხრობით მთავარი სათქმელისაკენ მიემართება. დასასრულს ნაწარმოების გმირი ქალი არჩევანს სიყვარულში საკუთარი სინდისის კარნახით აკეთებს და უპირობო სიყვარულის ადგილად მშობლიურ ქვეყანას ირჩევს, ადრესატად კი, ქართველ ვაჟს. მისთვის „სასწორის ერთ მხარეს მშობლიური ქვეყანა, მშობლები, დები, მათი შვილები, საყვარელი ადამიანები, მეგობრები და კარიერაა და ის ადამიანიც, რომელთანაც თავს მშვიდად და დაცულად გრძნობს, და ყველაზე მთავარი მშობლიური სახლი, სადაც დაიბადა, გაიზარდა და სადაც ახლაც ცხოვრობს... მიხვდით ალბათ, რომანი, რომელიც პირველ პირშია დაწერილი, ავტორის რეალურსა თუ გამოგონილ თავგადასავალს გვიამბობს, ნაწარმოები თანამედროვეობის პირდაპირი გამოძახილია და ბევრს ეუბნება კითხვის ნიშნით სავსე იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ვერ გაუკეთებიათ არჩევანი – უცხოობის სიამე თუ სამშობლო. სიყვარულის ძიება აქ თუ იქ. სამშობლო თუ უსამშობლობა, დავიწყება თუ მარადიული ხსოვნა...

თეა ირემაშვილის რომანმა ორი წლის წინ ლიტერატურულ კონკურსში „მუზა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო დებიუტი (აღმოჩენა) გაიმარჯვა და ავტორი, რომელიც წარმოშბით კასპიდანაა, ლიტერატურის მოყვარულთათვის ცნობადი გახადა. თეა ახლა უკვე ჩემი მეგობარია და ამჯერ შეხვედრაზე ერთ სასიხარული ფაქტს მიმხელს, მას **27** მარტს თბილისში ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში მეორე ახალი რომანის „უხილავი იარების“ პრეზენტაცია აქვს და რუსთაველებსაც გვეპატიჟება.

ახალი რომანი? ისიც ჩვენი თანამედროვეობის ძალიან საინტერესო გამოძახილია და ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებს, იმას, რაც ხშირად იმალება ნებით თუ უნებლიედ, კანონიერად თუ უკანონოდ და აშკარად იწვევს ქალთა ჩაგვრას, ფიზიკურ საშინელებებს, სიჩუმე უკვე დაუშვებელია, ქალთა დევნა და დისკრიმინაცია წარსულს უნდა ჩაბარდეს, ასეთია მწერლის გადაწყვეტილება. აქვე დავსძენთ, რომ რომანი აგებულია ცხოვრებაში შეხვედრილ რეალურ თავგადასავლებზე, სამწუხარო ეპიზოდებზე, ცალკეულ პერსონაჟებზე... დადგა დრო, საქართველო ამ მოუთმენელი, უსამართლო პირობების გარეშე ცხოვრობდეს და ქალის სულიერი, ფიზიკურ-გონებრივი შესაძლებლობები მხოლოდ კეთილ საქვეყნო საქმეებს ხმარდებოდეს. ქართველი ქალისთვის დღესაც და მომავალშიც დედობა უმაღლესი ბედნიერების განცდად უნდა რჩებოდეს.

და ძალიან მოკლედ ისევ თეას შესახებ: სკოლა და უმაღლესი იურიდიული განხრით წარმატებით დაამთავრა, მაგისტრატურის კურსიც, რამდენიმე საერთაშორისო პროექტით პრაქტიკები გაიარა პოლონეთსა და გერმანიაში, კერძოდ, ვარშავაში, კრაკოვში, ბერლინში, დრეზდენში, პოდსტდამში... კარგად ფლობს ინგლისურ ენასა და გერმანულს, რუსულს... წელს იგი სტუმრად იყო მიწვეული ქალაქ ფრანკფურტში წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე თავისივე საავტორო წიგნით „არჩევანი“.

წერა სკოლის პერიოდშივე დაიწყო ჩანახატებითა და საბავშვო ზღაპრების წარმოსახვითი გამოგონებით. ინსპირაციის წყარო და ადგილი საკუთარი ოჯახია, დედა და მამა, და და დისშვილებია, რომელთა პიროვნულობა ყოველდღიური ყოფით ეხმიანება მწერლის ინტერესებს, მშობლიური კუთხის უსაზღვრო სიყვარულს, საქართველოს დღევანდელობას, სამშობლოს მომავალზე ფიქრს. სათქმელად ალბათ ისიც ღირს, რომ ამ ნიჭიერმა გოგონამ, ჯერ კიდევ სრულიად პატარამ, მშობლიურ სოფელში თავისი წარმოდგენით სახლის წინ „დარგო“ **150** წლის მუხა და დღემდე სჯერა ამ ხის მარადიული სიცოცხლისა, რაც ბუნებრივია, მშობლიური ქვეყნის სიყვარულისა და დღეგრძელობის საზრისს უკავშირდება.

– ძალიან მინდა ჩემი სამშობლო ბედნიერი და საამაყო ადამიანებით სავსე იყოს, ყველანი ერთად კი არაფერს ვიშურებდეთ მისი წინსვლისა და გამარჯვებისათვის! - გულწრფელად აცხადებს თეა ირემაშვილი.

ლია მარტაშვილი

მემკვიდრეობა



რუსთაველმა მხატვარმა გურამ მღებრიშვილმა წლების წინ ერთიანი საქართველოს მეფეების პორტრეტების სერია შექმნა, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ეს პორტრეტები იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში, ცალკეულ გამოცემებში, თავის დროზე სპეციალური კალენდარიც კი გამოიცა მასობრივი ტირაჟით.

ამჯერად გურამ მღებრიშვილის მიერ შესრულებული პორტრეტები შევიდა გამომცემლობა „პერგამენტის“ მიერ დაბეჭდილ წიგნში, რომელიც მოიცავს ცნობებს საქართველოს მეფეებისა და ხელისუფალთა შესახებ **23** საუკუნის მანძილზე.

წიგნი ილუსტრირებულია მხატვარ გურამ მრეებრიშვილის მიერ. იმედია, აღნიშნული გამოცემა ყველა ოჯახის სამაგიდო წიგნად იქცევა.

გამოცემის სამეცნიერო კონსულტანტია ზემო ბეთლემის ტაძრის დეკანოზი მამა იოანე როსტიაშვილი, რუკების ავტორია ისტორიკოსი მანანა შეყილაძე.

რას სწერდა ჯორჯ ვაშინგტონი ახალციხელ ჰასან ფაშას

ჯორჯ ვაშინგტონისა და ჰასან ფაშას მიმოწერის შესახებ ერთ-ერთი პირველი ამერიკული რომანი “ალჟირელი ტყვე” **1797** წელს გამოაქვეყნა ამერიკელმა დრამატურგმა და იურისტმა როიალ ტაილერმა. სავარაუდოდ, ავტორი ეყრდნობოდა იმ ამერიკელ მეზღვაურთა და დიპლომატთა ნაამბობს, რომელთაც ალჟირის მმართველი თავად იხილეს. ტაილერის ნაწარმოები პოპულარობით სარგებლობდა და აშშ-ში რამდენჯერმე გამოიცა. საქართველოში ცოტამ თუ იცის ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტს, ჯორჯ ვაშინგტონსა და ალჟირის მმართველს, ახალციხელ ჰასან ფაშას შორის მიწერ-მოწერის შესახებ. ამ საინტერესო ამბის შესახებ ცნობებს ისტორიკოსი კონსტანტინე ფერაძე გვაწვდის.

ფულის დაბრუნება პრობლემურია!

როგორ ამოვიცნოთ ინტერნეტში თაღლითური შეთავაზებები

სოციალურ ქსელში თაღლითური შეთავაზებები სულ უფრო ხშირი ხდება. აღნიშნულს ხელს უწყობს გაციფრულების დაჩქარებული პროცესიც. მაგალითად, 2008 წლისთვის თუ საქართველოს 6-7% იყო გაციფრულებული, პანდემიის შემდეგ მაჩვენებელი 90%-ზე მეტია.

როგორც კიბერუსაფრთხოების ექსპერტი, **ანდრო გოცირიძე** აცხადებს, რაც უფრო მეტად გაციფრულდება საქართველო, თაღლითებიც მეტად ადაპტირდებიან ტექნოლოგიებთან.

— რაც უფრო გაციფრულდება საქართველოში ცხოვრება, ცხადია, თაღლითებიც უფრო მეტად ადაპტირდებიან ტექნოლოგიების მიმართ. ჯიბიდან თანხის მოპარვა რთულია, ქეში აღარ ტრიალებს იმდენად, - განაცხადა გოცირიძემ.

მოქალაქემ, რომელიც ინტერნეტ თაღლითობის მსხვერპლი გახდა, სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიმართოს, თუმცა, თაღლითურად მოპოვებული თანხის უკან დაბრუნება სირთულეებთან არის დაკავშირებული.

— დანაშაულის გახსნის მიხედვით, ნორმალური მაჩვენებელი გვაქვს. დანაშაული გახსნადია, მაგრამ ფულის დაბრუნებაა პრობლემური. დამნაშავეები არ გვპარავენ კომპიუტერიდან მხოლოდ თანხას, შესაძლოა, მოგვპარონ პერსონალური მონაცემები, რომლითაც დადებენ თაღლითურ გარიგებას. ან თქვენი პროფაილი მოგპარონ და თქვენი სახელით გაყიდონ მაგალითად, ბილეთები, - ამბობს ანდრო გოცირიძე.

კითხვაზე, როგორ უნდა ამოვიცნოთ სოციალურ ქსელებში თაღლითური შეთავაზებები, კიბერუსაფრთხოების ექსპერტი ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინტერნეტ თაღლითობის მეთოდებს ასახელებს:

— პირველი, გვაწვდიან ინფორმაციას ძალიან კარგი ან ძალიან სახიფათო რაღაცის შესახებ - მოიგეთ, მემკვიდრეობა დაგრჩათ, ძალიან დიდი ფასდაკლებაა ან დაჯარიმდით, თქვენი მეილი გატეხილია და ა.შ

მეორე, გთავაზობენ ამას მნიშვნელოვანი კომპანიის სახელით, მაგრამ მართლწერაში არის შეცდომა, მაგალითად COCA-COLA-ს ნაცვლად შეიძლება O ნულიანით ეწეროს, TBC-ის ნაცვლად TBS.

მესამე, შეტყობინება მოიცავს აუცილებლად სწრაფი მოქმედებისკენ იძულებას. იმიტომ რომ დიდხანს თუ დაუკვირდებით, მიხვდებით, რომ თაღლითების ანკესია, ამიტომ გეუბნებიან, შეასრულე მოქმედება ერთ წუთში, ორ წუთში, ახლავე, ვინც პირველი გამომიგზავნის.. და ა.შ.

მეოთხე, ასეთი ტიპის შეტყობინება გთავაზობთ უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევას - ისეთი მოქმედების განხორციელებას, რომელსაც სხვა დროს არ ჩაიდენდი, ასეთია მაგალითად, პაროლის გაზიარება, ბარათის მნიშვნელოვანი მონაცემების გაზიარება. თუ ამ მოქმედებათა ერთობლიობაა, დიდი ალბათობით, ეს არის თაღლითობა.

როგორც კი ეჭვი გაგვიჩნდება, რომ ის არის თაღლითური, არ გავაკეთოთ ზედმეტი მოქმედება. თუ რაიმე მოვიგეთ, ბილეთი ან მემკვიდრეობა მივიღეთ, ის ტელეფონზე აუცილებლად დაგვიკავშირდება, - განაცხადა გოცირიძემ.

ააიპ „იმედის ექოსთან“ არსებული მარტოხელა ხანდაზმულთა პანსიონატის 2023 წლის საქმიანობის პროგრამული ა ნ გ ა რ ი შ ი

მარტოხელა ხანდაზმულთა პანსიონატი ,,იმედის ექო'' არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირია,რომელიც მდებარეობს მე-8 მიკრორაიონში. მის საქმიანობას წარმოადგენს მარტოხელა მოხუცებისა და უნარშეზღუდული პირების სოციალური და სამედიცინო მომსახურება, ოჯახურთან მიახლოებული გარემოს შექმნა, კულტურული დასვენებისა და გართობის ორგანიზება, მობინადრეების ზრუნვა-პატრონობა სიცოცხლეში და ქრისტიანული პატივის მიგება გარდაცვალების შემთხვევაში. პანსიონატში მიღება უპირობოა ყველა მარტოხელასათვის, უსახლკაროსა და საკუთარი თავის მოვლის უნარდაკარგულთათვის.

2023 წელს პანსიონატი მზრუნველობას უწევდა აღნიშნული კატეგორიის 20 მდე პირს, წლიურმა დანახარჯმა 84938 ლარი შეადგინა, ხოლო შემოსავალმა 89056 ლ. პანსიონატს დიდ პრობლემებს უქმნის კომერციული ტარიფები კომუნალურ გადასახადებზე, ეს განსაკუთრებით რთულდება ზამთრის პერიოდში, მოხუცებულთა პენსიებისა და შემოწირულობების დიდი ნაწილი კომუნალურ გადასახადებზე იხარჯება, მითუმეტეს რომ პანსიონატს აქვს ცენტრალური გათბობა ბუნებრივ აირზე. 2023 წელს ბუნებრივი აირის დანახარჯმა შეადგინა 10125 ლ. ელექტროენერგიის ხარჯი შეადგენს 4508ლარს, კვების პროდუქტებზე დაიხარჯა 12547ლარი, მოხუცების პამპერსებსა და მედიკამენტებზე 13194ლ. ხელფასის ხარჯმა შეადგინა 29050 ლარი.

პანსიონატი არანაირ ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებს, არ სარგებლობს შეღავათებით , გვყავს რამოდენიმე ერთგული გულშემატკივარი კომპანია, რომლებიც წლების განმავლობაში გვეხმარებიან. კომპანია ,,რუსთავის წყალი“, რომელიც მოხმარებული წყლის დანახარჯს თვითონ გვიხდის, ,,სავანეთი'', რომელიც კვერცხს და ფრინველის ხორცს გვიგზავნის. ხშირად გვაკითხავენ სკოლის მოსწავლეები და ბაგა-ბაღის აღსაზრდელები, სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც ვინაობის გამხელის გარეშე აკეთებენ სიკეთეს. შემოწირულობას არ იშურებენ მობინადრეთა ახლობლები, ზოგი ფულად დახმარებას გვიწევს, ზოგი პროდუქტებითა და სხვა აუცილებელი საგნებით გვეხმარება.

ალმუნის სახელობის სამლოცველო , რომელსაც დადებითი მუხტი შემოაქვს ჩვენი პანსიონატის მობინადრეთა ცხოვრებაში.

მადლობა ყველას ჩვენი პანსიონატის მობინადრეთათვის დღემდე გაწეული ქველმოქმედებისათვის! ღმერთმა ამრავლოს ყველა გულმოწყალე ადამიანი.

2023 წლის განმავლობაში პანსიონატს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსიდან გამომდინარე რაიმე შეღავათით არ უსარგებლია.

ააიპ ,,იმედის ექოსთან არსებული მარტოხელა ხანდაზმულთა პანსიონატის '' 2023 წლის უტყუარობა დადასტურებულია აუდიტორული ფირმის, შპს ,,ჯენერალ-აუდიტის'' აუდიტორული დასკვნით.

ააიპ ,,იმედის ექოსთან არსებული
მარტოხელა ხანდაზმულთა
პანსიონატის დირექტორი,
ნელი დარაშვილი

ქ.რუსთავი
13.03.2024

ავეჯის და ნებისმიერი ტვირთის გადაზიდვა

საქართველოს ნებისმიერი მიმართულებით.

ტელ: 599 62 33 03

იყიდება ბინა

ახალ რუსთავში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, გიმნაზიასთან, იყიდება მაღალჭერიანი 2 ოთახიანი ბინა, 70 კვადრატამდე.

2 იზოლირებული საძინებლით, ცენტრალური გათბობით და დიდი სარდაფით. 3/1 სართულზე.

ფასი 75 000 დოლარი (დაკლებით) 555159411

ვიბარებ მაკულატურას მაღალ ფასში

გაზეთი, რვეული, ჟურნალი, წიგნი, ფორმატის (ქსეროქსის) ქაღალდი

მისამართი:
მესხიშვილის მე-2 გასასვლელის №4-თან (ავტოსადგომის ტერიტორია)
10-დან 19 სთ-მდე
ტელ: 579 808-818

რუსთავი მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმს უმასპინძლებს

ღონისძიება რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში სპეციალურად მოწყობილ იმ სივრცეში გაიმართება, სადაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, რუსთავის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა.

ქალაქის ცენტრალურ პარკში, 2024 წლის სიმპოზიუმისთვის მზადების პროცესს, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქიასთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი-2024, 8 ივნისს გაიხსნება. ქართველი და უცხოელი სკულპტორები სიმპოზიუმის სივრცეს 21 დღის განმავლობაში დაიკავებენ და მათ მიერ შექმნილი ქანდაკებები ქალაქის ქუჩებში განთავსდება

„ჰელადოსის» პრემიერა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს დაემთხვა

ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსის» მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის დარბაზში გაიმართა.

ღონისძიებას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე მოადგილე ოთარ ტატალაშვილთან და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ინტეგრირებული თეატრის სპექტაკლებში, პროფესიონალ მსახიობებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოყვარული მსახიობები არიან დაკავებულნი.

დასი უკვე 8 წელია, წარმატებით მოღვაწეობს და საკუთარი შემოქმედებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების სოციალიზაციას და მათი პოტენციალის გამოვლენას უწყობს ხელს.

ღონისძიება რუსთავის მერიის ააიპ ,,სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა.

„აზდაკის ბაღის" ინტეგრირებული თეატრის დასს ვუმასპინძლეთ რუსთავში. სიმბოლურია, რომ მათი სპექტაკლის - ,,ჰელადოსის" პრემიერა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს დაემთხვა. ძალიან ემოციური შეხვედრა გვქონდა. ეს სპექტაკლი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ყველას, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა რუსთავის მერიის კულტურის სამსახურს, ამ განსაკუთრებული დღის ორგანიზებისთვის', - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

რუსთავის მუნიციპალიტეტში სადარბაზოების რეაბილიტაციის ორი პროგრამა მოქმედებს

თუკი თქვენი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზო რეაბილიტაციას საჭიროებს, ამისთვის რუსთავის მერიის (ა)იპ "რუსთავის კორპუსის" სამსახურს უნდა მიმართოთ.

პირველი "ინიციატივების პროგრამაა", რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას სამშენებლო მასალები გადაეცემა, ხოლო სამუშაოების შესრულებაზე თავად მოსახლეობამ უნდა იზრუნოს.

მეორე "თანადაფინანსების პროგრამაა", ამ დროს სადარბაზოს რემონტისთვის მუნიციპალიტეტი 90%-იან წილში შედის, ხოლო დარჩენილ 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იხდის.

მეორე პროგრამის ფარგლებში, თუკი კონკრეტულ სადარბაზოში სოციალურად დაუცველი ოჯახი ცხოვრობს, რომელთა სარეიტინგო ქულა 63 000-მდეა, რემონტისთვის საჭირო მათ წილ თანხას მუნიციპალიტეტი დაფარავს

ახალგახსნილ დარბაზში მასპინძელმა „რუსთავმა" „დელტასთან" ბოლო წამზე წააგო

რუსთავში საზეიმოდ გაიხსნა ახალი სპორტის სასახლე, სადაც პირველი ოფიციალური მატჩი კალათბურთში გაიმართა. მატჩამდე დარბაზს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სპორტისა და ახალგაზრდობის, ასევე, ინფრასტრუქტურის მინისტრი ესტუმრნენ. რუსთავის დარბაზი მთავრობის წევრებთან ერთად გახსნა UFC-ის ერთადერთმა ქართველმა ჩემპიონმა ილია თოფურიამ. გახსნაზე იმყოფებოდა რუსთავის მერი და სხვა მრავალი სახელმწიფო მოხელე.

ილია თოფურიამ ახალ დარბაზში მოსულ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და საჩემპიონო ქამარი წარუდგინა, რის შემდეგაც სუპერლიგის მე-18 ტურის ბოლო მატჩი გაიმართა, რომელშიც „რუსთავმა" გურჯაანის „დელტას" უმასპინძლა. „რუსთავის" გუნდი სუპერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია და ბოლო მატჩებში ზედიზედ განცდილი წაგებების შემდეგ გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატი გახდა. აქედან გამომდინარე, ამ მატჩის მოგებას მასპინძლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა – ერთი მხრივ, სატურნირო და მეორე მხრივ – საზეიმო განწყობის დასაგვირგვინებელი.

ბედის ირონიასავით მოხდა, რომ სწორედ ასეთი პრინციპული მატჩი, რომლის მოგებაც გახსნის საღამოს დაამშვენებდა და ისტორიაშიც ჩაეწერებოდა, რუსთაველებმა დრამატულად წააგეს. თითქმის მოგებული შეხვედრა რუსთაველებს ჯიბიდან გიორგი ტურძილაძემ ამოაცალა, რომელმაც საფინალო სირენის თანხლებით გურჯაანელთა გამარჯვების ბურთი ჩააგდო.

თუმცა, სანამ საქმე გადამწყვეტ ბურთამდე მივიდოდა, რუსთაველებს მოგების რამდენიმე შანსი გაუცუდდათ. შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე „რუსთავი" 66:64 იგებდა და შეტევაში იყო. ბურთი აიზია დაშერმა ააცილა და გურჯაანელებმა შეტევა წარმატებით დაასრულეს – სირენამდე 35 წამით ადრე ბაირონ მაქსველმა გამათანაბრებელი გარღვევა განახორციელა – 66:66.

რუსთაველთა მორიგი შეტევა და სირენამდე 15 წამით ადრე მეტოქის საჯარიმოსკენ დაძრულმა დაშერმა ბურთი დაკარგა. „დელტამ" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, მაგრამ გადამწყვეტი სროლა ტურძილაძეს გაუცუდდა და დრო ამოიწურა. მსაჯებმა ვიდეორეფერი მოიშველიეს და განსაზღვრეს, რომ დასრულებამდე დარჩენილი იყო 0.6 წამი. ფარის ქვეშიდან შემოტანილი ბურთი ხელის ერთი მოძრაობით ტურძილაძემ რუსთაველთა კალათში მოათავსა და შეხვედრაც დასრულდა – 68:66. ასეთი დასანანი მატჩი რუსთაველებს ამ სეზონში არ წაუგიათ.

გურჯაანელთა რიგებში ბაირონ მაქსველი იყო საუკეთესო – 17ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი. მატჩის გმირმა ტურძილაძემ სულ რაღაც 17 წუთში 17 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. 12 ქულა დ 8 მოხსნა ბექა ბექაურის ანგარიშზეა. რუსთაველებს დემარი კინგმა ულიდერა, 17 ქულა მიითვალა, გუგა პატაშურმა 9 ქულა დააგროვა, ხოლო სეთ აქსველმა - 8 ქულა და 10 მოხსნა.

შპს „გაზეთი რუსთავი"
რუსთავი
დირექტორი ლერი ბარათელი
რედაქტორი თემურ კობახიძე
გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
599 233-390, 599 908-918
e-mail:gazetirustavi@gmail.com
მისამართი: რუსთავი, მეგობრობის 32, სასტუმრო „რუსთავი", მე-2 სართული